






საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№4, 2017





კონკურსები

დასრულებული კონკურსები

2017 წლის 23 ივნისს გამოცხადდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2017 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 505 000 ლარი).

შემოვიდა 46 პროექტი.

2017 წლის 13 ნოემბერს კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა შემდეგი 14 პროექტი:

1. „ამბავი დუმბაძეებისა“ - 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი;
2. „ცარიელი მაგიდა“ -37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი;
3. „მარქსის ქუჩა 12“ - 21 000 (ოცდაერთი ათასი) ლარი;
4. „კრიმანჭულის ქურდები“ - 44 000 (ორმოცდაოთხი ათასი) ლარი;
5. „დევნილი“ - 47 000 (ორმოცდაშვიდი ათასი) ლარი;
6. „ღამის მორიგე“ - 32 000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარი;
7. „ცუდი ხალხი“- 47 000 (ორმოცდაშვიდი ათასი) ლარი;
8. „ბავშვი“- 41 000 (ორმოცდაერთი ათასი) ლარი;
9. „გადასასვლელი“ - 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი;
10. „დამლაშებული პირსახოცები“ - 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი;

11. „ზაფხული“ - 32 000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარი;
12. „სასტუმრო მირაჟი“ - 39 000 (ოცდაცხრამეტი ათასი) ლარი;
13. „მეხდაკრული“ - 39 000 (ოცდაცხრამეტი ათასი) ლარი;
14. „უსაზღვროდ“ - 31 000 (ოცდათერთმეტი ათასი) ლარი

2017 წლის 24 ივლისს გამოცხადდა ქართულ-უცხოური (კო-პროდუქცია) სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2018 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 1 100 000 ლარი).

შემოვიდა 8 პროექტი.

2017 წლის 22 დეკემბერს კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა შემდეგი სამი პროექტი:

1. „სამურაი დასვენების ჟამს“ (პროდიუსერი - შპს „ალამდარი“ - ნინო დევდარიანი, რეჟისორი - ლევან თუთბერიძე), 400 000 ლარი.
2. „წყლების მალაზია“ (პროდიუსერი - შპს „სტუდიო 99“ - კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი - შტეფან ტოლცი), 360 000 ლარი.
3. „მოქალაქე წმინდანი“ (პროდიუსერი - შპს „არტიზმი“ - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - თინათინ ყაჯრიშვილი), 340 000 ლარი.

მიმდინარე კონკურსები

2017 წლის 20 ნოემბერს გამოცხადდა სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2018 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი -1000 000 ლარი). პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2018 წლის 31 იანვარი.

2017 წლის 20 ნოემბერს გამოცხადდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2018 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი - 250 000 ლარი). პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2018 წლის 8 თებერვალი.

2017 წლის 20 დეკემბერს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2018 წლის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსი. პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2018 წლის 23 თებერვალი.

მოსამზადებელ კერიოლშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი - შპს „ნიკე სტუდიო“- რუსუდან ჭყონია, რეჟისორი - რუსუდან ჭყონია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რატომ ვართ ერთად“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია ფონოგრამი“ - პაატა გომიაშვილი, რეჟისორები - ილო ღლონტი, ლევან ღლონტი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამერი“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“ - ელენე მარგველაშვილი, რეჟისორი - კონსტანტინე კალანდაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცარიელი მაგიდა“ (პროდიუსერი - შპს „ვიზუალური ხელოვნების ცენტრი“ - ქეთევან გალდავაძე, რეჟისორი - გიორგი ქობალია);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცუდი ხალხი“ (პროდიუსერი - „20 Steps productions“ - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - გიორგი თავართქილაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ღამის მორიგე“ (პროდიუსერი - შპს „პრედატორ ფილმი“ - თამარ გოლავა, რეჟისორები - ნატო გაბუნია, გრიგოლ ჯანაშია);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეხდაკრული“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“ დირექტორი - ნიკოლოზ გუგუშვილი, რეჟისორი - გიორგი ქობალია);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფილმსი“ - დავით აბრამიშვილი, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრის დეპრესია“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“ - ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი - თამაზ ნარიმანიძე);

გადაღების კერიოლშია:

- ერთობლივი ქართულ-თურქული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი - ერეკლე ბადურაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ (პროდიუსერი - შპს „კინო იბერიკა“ - ლევან კოლუაშვილი, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხე“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ - სალომე ჯაში, რეჟისორი - სალომე ჯაში);

მონტაჟის პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შინდისი“ (პროდიუსერი - შპს „თავისუფალი კინოსტუდია“ - ედმონდ მინაშვილი, რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე);
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უარყოფითი რიცხვები“ (პროდიუსერი - შპს „მაგნეტ ფილმს“ - დავით ისაკაძე, რეჟისორი - უტა ბერია);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი - შპს „თთფილმი“ - თამარ გურჩიანი, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე“ (პროდიუსერი - შპს „არტ ფაბრიკა“ - თამაზ ორაშვილი, რეჟისორი - გიორგი შენგელაია);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დაკარგული რვანახევარი“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ - ირაკლი სოლომანაშვილი, რეჟისორი - ვახო ვარაზი);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მიუსაფარი“ (პროდიუსერი - შპს „საავტორო ფილმების სტუდია“ - ზურაბ ინაშვილი, რეჟისორი - ზურაბ ინაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - სალომე და თამთა ხალვაშები);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“ - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - ირაკლი მეტრეველი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „წინ, წინაპრებისკენ! (პროდიუსერი - შპს „დიაფილმი“ - შორენა თევზაძე, რეჟისორი - შორენა თევზაძე);
- მცირებიუჯეტიანი მხატვრული ფილმი „ღორი“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“ - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - გიგა ლიკლიკაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა პეპლები იწყებენ ფრენას“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“ - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - ბექარ ჯგუბურია);



„უარყოფითი რიცხვები“



„მეოთხე ბრაიტონი“



„ანტონი“

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პამპულოზანა“, (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრ ფილმი“ - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - ამირან დოლიძე);
- ერთობლივი ქართულ - უკრაინული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანტონი“ (პროდიუსერი - შპს „Georgian Internasional Films“ - მირზა დავითაია, რეჟისორი - ზაზა ურუშაძე);
- ერთობლივი ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი - 43“ (პროდიუსერი - შპს „სინტექი“ - რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კაცი“ (პროდიუსერი - შპს „სინემაგია“ - გიორგი კაჭარავა, რეჟისორი - გიორგი კაჭარავა);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი „ისტორია საოჯახო ალბომიდან“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ - ანნა ძიაპშიპა, რეჟისორი - ანნა ძიაპშიპა);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი „სანამ მამა დაბრუნდება“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - მარიამ გულბიანი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰორიზონტი“ (პროდიუსერი - შპს „ჯემინი“ - თინათინ ყაჯრიშვილი, რეჟისორი - თინათინ ყაჯრიშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღლუმი“ (პროდიუსერი - შპს „ახალი ქართული ფილმი“ - ნიკა აბრამაშვილი, რეჟისორი - ნინო ჟვანია);
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე);



“აღლუმი”



“შეყვარებული ბაყაყი”

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცხო“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრი“ - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - დიმიტრი მამულია);
- სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ-ბულგარული პროექტი „ურსუსი“ (პროდიუსერი - შპს „სტუდიო“, რეჟისორი - ოთარ შამათავა);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (პროდიუსერი - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“ - ივანე არსენიშვილი, რეჟისორები - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პიონერთა სასახლე“ (პროდიუსერი - ააიპ „Matchhouse Film“ - ანა ციმინტია, რეჟისორი - ანა ციმინტია);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ზოლეშია“ (პროდიუსერი - ინდ/საწარმო „ქეთევან ჯანელიძე“, მხატვარ/ანიმატორი - ნინა სამანიშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“- გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი ფ/პირი გელა კანდელაკი, რეჟისორი - გელა კანდელაკი);



“ნამე”

დასრულდა:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნამე“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - ზაზა ხალვაში);
- მცირებიუჯეტის მხატვრული ფილმი “ომობანა” (პროდიუსერი - შპს „სტენლი“ - ალექსანდრე დარახველიძე, რეჟისორი - ირაკლი ჩხიკვაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აბასთუმანი“ (პროდიუსერი - ააიპ „კავშირი ოპიოდოკი“ - მარიამ ჭაჭია, რეჟისორები - მარიამ ჭაჭია, ნიკ ვოიგთი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მოწამლულები“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია 99“ - კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი - თამარ ბართაია);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კახეთის მატარებელი“ (პროდიუსერი - შსგ „ლირა ფროდაქშენი“ - ლალი კიკნაველიძე, რეჟისორი - ლალი კიკნაველიძე);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მეთევზე და გოგონა“ (პროდიუსერი - შპს „20 Steps productions“ - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - მამუკა ტყეშელაშვილი);

განვითარდა:

- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ცხოვრების ტანგო“ (პროდიუსერი - შპს „რამონა“ - ვახტანგ სულაქველიძე, სცენარის ავტორი - ვლადიმერ სულაქველიძე);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ყვავი“ (პროდიუსერი - შპს „20 Steps productions“ - ვლადიმერ კაჭარავა, სცენარის ავტორი - ალექსანდრე ქათამაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ქამერდე“ (პროდიუსერი - შპს „შვიდკა“, სცენარის ავტორები - ქეთევან გალდავაძე, გიორგი ბარაბაძე);



“მეთევზე და გოგონა”



“ჰორიზონტი”

- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „მიტოვებული სოფელი“ (პროდიუსერი - შპს „კვალი XXI“, სცენარის ავტორი - მარი კაპანაძე);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ენძელა“ (პროდიუსერი - შსგ „ლირა ფროდაქშენი“ - ლალი კიკნაველიძე, სცენარის ავტორი - დათო კიკნაველიძე);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „პატარა ხოჭო“ (პროდიუსერი - შპს „ლე ხაინდრაო პროდაქშენ“, სცენარის ავტორი - ელენე სეზისკვერაძე);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ფრენცის სასადილო“ (პროდიუსერი - ააიპ „სტუდია ჯიბის კაცი“, სცენარის ავტორი - ანა ჩუბინიძე);
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მეფე“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ - ირაკლი სოლომანაშვილი, სცენარის ავტორი - ირაკლი სოლომანაშვილი);



“კახეთის მატარებელი”



ოსკარის კამპანიის ფარგლებში გამართულ კინოფესტივალზე Asian World Film Festival ანა ურუმამე დააჯილდოვეს. ახალგაზრდა ქართველ რეჟისორს საუკეთესო ახალი რეჟისორის ჯილდო გადაეცა. Asian World Film Festival უკვე რამდენიმე წელია ლოს ანჯელესში იმართება და იგი სხვადასხვა ქვეყნიდან ოსკარის კანდიდატ ფილმებს მასპინძლობს.

ქართული კინოს ტრიუმფი აზიურ ოსკარზე

ავსტრალიის ქალაქ ბრისბანში Asia Pacific Screen Awards-ის დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა, სადაც ქართველმა კინემატოგრაფისტებმა 4 უმნიშვნელოვანესი ჯილდო მოიპოვეს.

დაჯილდოვების ცერემონიისთვის ნომინანტები მსოფლიოს 70 ქვეყნიდან შეირჩა. მაღალი კონკურენციის მიუხედავად, სულ გაცემული 15 პრიზიდან, საქართველოს 4 ჯილდო მიენიჭა.

- ჟიურის გრან პრი ახალგაზრდა ქართველ რეჟისორს - ანა ურუმამეს ხვდა წილად ფილმისთვის „საშიში დედა“.
- კიდევ ერთ ქართველ რეჟისორს - მარიამ ხაჭვანს კი ფილმისთვის „დედე“, იუნესკოს „კულტურული მრავალფეროვნების“ ჯილდო გადასცეს.



ამ ჯილდოს გაცემიდან მალევე, იუნესკომ მიიღო გადაწყვეტილება მარიამ ხაჭვანის “დედე” პარიზშიც ეჩვენებინათ. ფილმის სპეციალური ჩვენება იუნესკოს ცენტრალურ ოფისში 12 დეკემბერს შედგა.

- ფილმში „საშიში დედა“ შესრულებული მთავარი როლისთვის დაჯილდოვდა ნატა მურვანიძე, როგორც საუკეთესო მსახიობი ქალი.
- ქართულმა საპროდიუსერო კომპანიამ „20 Steps Productions“ ფილმის პროექტის „ნენე“ განსავითარებლად MPA Apsa Academy Film Fund-ის ფულადი პრიზი მიიღო. ფილმს მარიამ ხაჭვანი გადაიღებს, მისი პროდიუსერი კი ვლადიმერ კაჭარავა იქნება.

Asia Pacific Screen Awards, რომელსაც ყოველწლიურად ათასობით სტუმარი ესწრება, 2007 წლიდან იმართება. მნიშვნელობისა და მისი მასშტაბურობის გამო მას აზიურ ოსკარს უწოდებენ.



ქართული კინოფილმების საქართველოს უზრუნველება



რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდში“ დაცული ქართული კინომემკვიდრეობის სამშობლოში დაბრუნების პროცესი გრძელდება. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ეროვნული კინოცენტრის, თიბისი ბანკის, ჯი-ემ-თი ჯგუფისა და კომპანია IDS ბორჯომი საქართველოს მხარდაჭერით, საქართველოში, გოსფილმოფონდში დაცული, კიდევ, თერთმეტი ქართული ფილმი დაბრუნდა.

ფილმების სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიება, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, 18 დეკემბერს გაიმართა.

ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი და მხარდამჭერი კომპანიების წარმომადგენლები უძღვებოდნენ. საზეიმო ღონისძიებას კინოს სფეროს, ბიზნეს სექტორისა და მთავრობის წარმომადგენლები დაესწრნენ.



ქართულ მხარეს 1925-დან 1975 წლამდე პერიოდში გადაღებული თერთმეტი ქართული ფილმის ასლი გადმოეცა:

1. „ქორწილი“ - რეჟისორი მიხეილ კობახიძე;
2. „ქოლგა“ - რეჟისორი მიხეილ კობახიძე;
3. „მუსიკოსები“ - რეჟისორი მიხეილ კობახიძე;
4. „ფეოლა“ - რეჟისორი ბაადურ წულაძე;
5. „შერეკილები“ - რეჟისორი ელდარ შენგელაია;
6. „ფრთოსანი მღებავი“ - რეჟისორი ლეო ესაკია;
7. „ქაჯეთი“ - რეჟისორი კოტე მიქაბერიძე;
8. „ვინ არის დამნაშავე?“ - რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა;
9. „ამოკი“ - რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი;
10. „სამანიშვილის დედინაცვალი“ - რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი;
11. „ელისო“ - რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია.



დოკლაიფცივის ფოკუსი ქართულ კინოზე

ლაიფცივის დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების მე-60 საიუბილეო ფესტივალის ფოკუსში წელს საქართველო იყო.

გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და პრესტიჟულ კინოფორუმზე ქართულ დოკუმენტურ და ანიმაციურ კინოს საგანგებო სექცია მიეძღვნა. IMPORT/EXPORT – GEORGIAN CINEMA ACROSS BORDERS - ამ სახელწოდების პროგრამაში 11 დოკუმენტური და 2 ანიმაციური ფილმი აჩვენეს.

საქართველოს ფოკუს პროგრამა დოკლაიფცივის ფესტივალის ინიციატივით და ჰაინრიხ ბიოლის ფონდთან თანამშრომლობით, ქართველი რეჟისორის და პროდიუსერის - ზაზა რუსაძის კურატორობით შედგა. ზაზა რუსაძე ასევე DOK Leipzig-ის შესარჩევი კომისიის წევრია.

ლაიფცივის ფესტივალის ფარგლებში, ასევე გაიმართა პანელ დისკუსია Female Gazes from Georgia – (ქალის ხედვა საქართველოდან), რომელიც ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მიერ იყო ორგანიზებული. კინოჩვენებების ციკლი და დისკუსია გერმანიის კიდეც 4 ქალაქში გაგრძელდა.

გარდა სპეციალური ქართული პროგრამისა, ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობას იღებდა ქართულ-ფრანგული კოპროდუქცია “ჯიბის კაცი” (რეჟისორი ანა ჩუბინიძე).

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალმა გამარჯვებულები გამოავლინა

9 დეკემბერს კინოთეატრ “ამირანში” გაიმართა მე-18 საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვის ცერემონია, სადაც გამოვლინდა ფესტივალის გამარჯვებული ფილმები.

საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულები არიან:

- “ოქროს პრომეთე” (საუკეთესო ფილმი) - “ყორნები” (შვედეთი, 2017), რეჟისორი: იენს ასური;
- “ვერცხლის პრომეთე” (საუკეთესო რეჟისურა) - “არშიყი” (დანია, შვედეთი, საფრანგეთი, 2017), რეჟისორი: მილად ალამი;
- ჟიურის სპეციალური პრიზი - განსაკუთრებული აღნიშვნა გადასცა ანა ურუშაძეს ფილმისთვის “საშიში დედა” (საქართველო, ესტონეთი, 2017) და მათან იაირის ფილმისთვის “ხარაჩოები” (ისრაელი, პოლონეთი, 2017);

“ქართული პანორამის” გამარჯვებულები არიან:



- საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ქართული ფილმი - “საშიში დედა”, რეჟისორი ანა ურუშაძე (საქართველო, ესტონეთი, 2017);
- საუკეთესო დოკუმენტური ქართული ფილმი - “მზის ქალაქი”, რეჟისორი რატი ონელი (საქართველო/აშშ/ყატარი/ნიდერლანდები, 2017);
- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმი - “ანა”, რეჟისორი მარგო ზუბაშვილი (საქართველო, 2017);
- ჟიურის სპეციალური პრიზი - “თევზაობა”, რეჟისორი თორნიკე ბზიავა (საქართველო/საფრანგეთი, 2017);

ფესტივალის ფარგლებში წელს უკვე მეორედ საკუთარი ჯილდო დააწესა ეროვნულმა კინოცენტრმა. “წერე ქართულ კინოზე” - ასე ქვია კონკურსს, რომელიც კინოცენტრმა კინომცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებისთვის გამოაცხადა. გამოვლინდა 3 გამარჯვებული:

- I ადგილი - გიორგი გეთიაშვილი (სტუდენტი დაესწრება ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალს. კინოცენტრი მას დაუფინანსებს ფესტივალის აკრედიტაციის, მგზავრობის, დღიურ და სასტუმროს ხარჯებს);
- II ადგილი - მარიამ ჩუტკერაშვილი (სტუდენტი დაჯილდოვდა საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის ერთი წლის დაფინანსებით ან სტიპენდიით);
- III ადგილი - ლილი გლურჯიძე (სტუდენტი დაჯილდოვდა საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის ერთი სემესტრის დაფინანსებით ან სტიპენდიით);



თბილისის მე-18 საერთაშორისო კინოფესტივალი დაიხურა ზაზა ხალვაშის ფილმის „ნამე“ საპრემიერო ჩვენებით.

ეროვნული კინოცენტრი უკვე მე-14 წელია, რაც თბილისის კინოფესტივალის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერია.

ანა ურუშაძის ფილმი “საშიში დედა” ესპანეთსა და სინგაპურში დააჯილდოვეს

ანა ურუშაძის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “საშიში დედა” ესპანეთში, Gijón International Film Festival-ზე 3 პრიზის მფლობელი გახდა:

- ანა ურუშაძე - საუკეთესო რეჟისორი
- მინდია ესაძე - საუკეთესო ოპერატორი
- “საშიში დედა” - საუკეთესო ფილმი (ახალგაზრდული ჟიურის პრიზი)

მოგვიანებით ანა სინგაპურის საერთაშორისო კინოფესტივალზეც დააჯილდოვეს. ახალგაზრდა ქართველ რეჟისორს SWAROVSKI-ს ჯილდო გადაეცა.



ფილმს ასევე აქვს ეგვიპტეში, ელ გოუნას ფესტივალის მთავარი ჯილდო და პინგაოს ფესტივალის პრიზი, რომლებიც “საშიშმა დედამ” ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე მოიპოვა.

რუსუდან გლურჯიძის “სხვისი სახლი” საერთაშორისო ფესტივალებზე ჯილდოების მოპოვებას განაგრძობს

რუსუდან გლურჯიძის ფილმი “სხვისი სახლი” სტალკერის საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო ფილმი გახდა და ფესტივალის გრან პრი გადაეცა.

ფესტივალი რუსეთში 1995 წლიდან ტარდება, ადამიანის უფლებებს ეძღვნება და მისი მთავარი პარტნიორი მიხეილ პროხოროვის ფონდია.

მოგვიანებით რუსუდან გლურჯიძე Sochi



International Film Festival & Awards-ზე საუკეთესო სცენარისტის დააჯილდოვეს.
Sochi International Film Festival & Awards წელს უკვე მეორედ ჩატარდა.
ფესტივალის მიზანია ადამიანებისთვის ჰუმანური გარემოს შექმნა და კინო ენის მეშვეობით
ქვეყნებს შორის ჩატეხილი ხიდების აღდგენა.

“სხვისი სახლი” 25 ნომბერს კიდევ ერთი კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა.
მას რაბათის საერთაშორისო საავტორო კინოს ფესტივალზე გრან პრი - მაროკოს მეფის ჰუსეინ
მეორის სახელობის ჯილდო გადაეცა.

მარიამ ჭაჭიას დოკუმენტური ფილმი საბერძნეთში დააჯილდოვეს

მარიამ ჭაჭიას დოკუმენტური ფილმი “მოუსმინე სიჩუმეს” საბერძნეთში ბავშვთა და
ახალგაზრდობის საერთაშორისო კინოფესტივალის ორგზის გამარჯვებული გახდა!

ოლიმპიის კინოფესტივალზე ფილმი სექციაში KIDS&DOCS საერთაშორისო კუნკურსში
მონაწილეობდა და ჯილდო საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის მოიპოვა.

მარიამ ჭაჭიას ფილმს “მოუსმინე სიჩუმეს” ასევე გადაეცა ბერძნული პარლამენტის მიერ
სპეციალურად დაწესებული ჯილდო - Human Values Award.

ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმის “ანდრო” საერთაშორისო წარმატება

“ანდრო” თორნიკე გოგრიჭიანის მოკლემეტრაჟიანი ფილმია, რომელიც ეროვნული კინოცენტრის
მხარდაჭერით შეიქმნა.

ფილმის მსოფლიო პრემიერა International Mediterranean Film Festival of Montpellier - Cinemed - ზე
შედგა, მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციაში.

მოგვიანებით “ანდრო” Tehran International Short Film Festival-ზე აჩვენეს, სადაც მას საუკეთესო
ფილმის პრიზი გადაეცა.



ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სამი საფეხური“ 2 გერმანული კინოფესტივალის გამარჯვებულია

იოსებ (სოსო) ბლიაძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სამი საფეხური“, რომლის მსოფლიო პრემიერა 2017 წლის იანვარში როტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, ორი გერმანული ფესტივალის გამარჯვებული გახდა.

ფილმმა ბერლინში InterFilm - 33rd International Short Film Festival-ზე ჟიურის სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა, ხოლო Exground International Short Film Festival-ზე, რომელიც ქალაქ ვისბადენში ჩატარდა, საერთაშორისო კონკურსის სექციაში საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი გახდა.

მოგვიანებით „სამი საფეხური“ ყირგიზეთის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე საუკეთესო რეჟისურისთვის დაჯილდოვდა.

ქართველი რეჟისორი რატი ონელი მინსკის საერთაშორისო კინოფესტივალზე 2 ჯილდოს მფლობელი გახდა

მინსკის საერთაშორისო კინოფესტივალმა „Listapad“ გამარჯვებულები გამოავლინა. რატი ონელი ფილმისთვის „მზის ქალაქი“ 2 ჯილდოს მფლობელი გახდა:

ქართველ რეჟისორს საუკეთესო დებიუტისთვის ფიპრესის ჯილდო (NEW VOICES – FIPRESCI AWARD) და ჟიურის სპეციალური პრიზი (DOCUMENTARY SPECIAL JURY AWARD) გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ კინოფესტივალის მხატვრული ფილმების მთავარი კონკურსის ჟიურის წევრი ასევე ქართველი რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე იყო.

ქართული დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ საერთაშორისო კინოფესტივალზე მოგზაურობას განაგრძობს

ალექსანდრე კვატაშიძის ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალზე იღებდა მონაწილეობას.

ფილმი აჩვენებს არგენტინასა და პერუში, ლა რომელშიც მაყურებლის პრიზი და სპეციალური აღნიშვნა (Special Mention) გადაეცა, პალერმოს კინოფესტივალზე Sole Luna კი ახალგაზრდა ჟიურის ჯილდო მოიპოვა.



ამჟამად ფილმი ალმაატაში და ბუდაპეშტშია მიწვეული, სადაც რეჟისორი ალექსანდრე კვატაშიძეც გაემგზავრება.

ქართული ანიმაციური ფილმი “ჯინო” PALM SPRINGS-ის კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა

დათო კიკნაველიძის ანიმაციური ფილმი “ჯინო” ამერიკის შეერთებულ შტატებში, PALM SPRINGS INTERNATIONAL ANIMATION FESTIVAL-ზე დააჯილდოვეს.

იგი კინოფესტივალის საუკეთესო 3D ანიმაციად აღიარეს.

წელს PALM SPRINGS-ის კინოფესტივალზე 2700 ფილმი იყო წარმოდგენილი მსოფლიოს 103 ქვეყნიდან.

გიორგი ოვაშვილის ახალი ფილმის “ხიბულა” პრემიერა

21 ნოემბერს გიორგი ოვაშვილის ახალი ფილმის „ხიბულა“ პრემიერა გაიმართა. ფილმი „გაღმა ნაპირის“ და „სიმინდის კუნძულის“ შემდეგ ტრილოგიის ბოლო ნაწილია, რომლითაც რეჟისორმა 90-იან წლებზე მუშაობა დაასრულა.



ფილმი საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას ტრაგიკულ აღსასრულს ასახავს. სცენარს საფუძვლად უდევს 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანაში განვითარებული რეალური მოვლენები. მთავარ როლს ასრულებს ცნობილი ირანელი მსახიობი - ჰოსეინ მაჰჯუბი, რომელიც სპეციალურად პრემიერისთვის საქართველოში კვლავ ჩამვიდა.

ლევან კოლუაშვილის დოკუმენტური ფილმი რუსეთის კინოგაქირავებაში გამოვიდა

ლევან კოლუაშვილის დოკუმენტურ ფილმს “გოგიტას ახალი ცხოვრება” რუსეთში ნახავენ. ფილმი რუსულ კინოგაქირავებაში დეკემბრის დასაწყისიდან გამოვიდა და უკვე დაიმსახურა დადებითი შეფასებები.

ფილმის “გოგიტას ახალი ცხოვრება” მსოფლიო პრემიერა დოკუმენტური ფილმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალის IDFA სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების საკონკურსო პროგრამაში შედგა. იგი მოგვითხრობს ისტორიას ადამიანის შესახებ, რომელიც ციხიდან 14 წლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ გამოდის და ახალი ცხოვრების დაწყებას ცდილობს.

საქართველო ამერიკის კინობაზრობაზე

წელს ლოს ანჯელესში, ამერიკის კინობაზრობის ლოკაციების გამოფენაზე, სააგენტო „წარმოე საქართველოში“, ეროვნული კინოცენტრი და ქართული საპროდიუსერო კომპანიები იღებდნენ მონაწილეობას.

კინობაზრობაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს სტენდი.

ქვეყნის პოპულარიზაციისა და საქართველოში კინომწარმოებლების მოზიდვის მიზნით, დაიგეგმა არაერთი აქტივობა და შედგა შეხვედრები ისეთ კომპანიებთან როგორებიცაა: Netflix, HBO, FOX, NBCUniversal, Sony Pictures International, Alcon Entertainment, Relativity Media, Lionsgate და სხვა.

ამჟამად განიხილება რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც შესაძლოა შემდეგ წელს საქართველოში განხორციელდეს.



INDYWOOD FILM CARNIVAL-ზე საქართველო წლის საუკეთესო გადასაღებ ქვეყანად აღიარეს

ინდოეთში წელს უკვე მესამედ Indywood Film Carnival გაიმართა, რომელიც კინოინდუსტრიის წარმომადგენლების დასაკავშირებლად ერთ-ერთი პლატფორმაა.

ლონისძიებაზე კინო ტურიზმის კატეგორიაში საქართველო წლის საუკეთესო გადასაღებ ქვეყანად აღიარეს, სპეციალური სერთიფიკატი კი ინდოეთში საქართველოს ელჩმა ჩაიბარა.











პროგრამა “გადაიღე საქართველოში” ეროვნული კინოცენტრისა და სააგენტო “აწარმოე საქართველოში” მხარდაჭერით უკვე მეორე წელია მიმდინარეობს.

ამ ეტაპისთვის განხორციელებულია 9 კინო პროექტი, ქვეყანაში კი ინვესტიციის სახით შემოსულია 15 მილიონამდე ლარი.

ქართველი მსახიობი ირაკლი კვირიკაძე ევროპელი ამომავალი ვარსკვლავების ათეულშია

European Film Promotion-მა გამოაქვეყნა იმ ევროპელი ამომავალი ვარსკვლავების სია, რომელთაც ორგანიზაცია ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე (15-25 თებერვალი, 2018) კინოინდუსტრიის წარმომადგენლებს წარუდგენს.

ჟიურის გადაწყვეტილებით 10 ყველაზე ნიჭიერ ამომავალ ევროპელ ვარსკვლავს შორის ქართველი მსახიობი - ირაკლი კვირიკაძე მოხვდა, რომელიც ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს რეზო გიგინეიშვილის ფილმში “მძევლები”.

				
Matilda De Angelis Italy (ITALIAN RACE)	Alba August Sweden (BECOMING ASTRID)	Michaela Coel United Kingdom (BEEN SO LONG)	Eili Harboe Norway (THELMA)	Irakli Kvirikadze Georgia (HOSTAGES)
				
Franz Rogowski Germany (FIKKEFUCHS)	Matteo Simoni Belgium (GANGSTA)	Jonas Smulders The Netherlands (BROTHERS)	Réka Tenki Hungary (BUDAPEST NOIR)	Luna Wedler Switzerland (BLUE MY MIND)

ახალგაზრდა ვარსკვლავები 4 დღის მანძილზე (16-19 თებერვალი, 2018) დაესწრებიან ვორქშოპებს, შეხვედებიან ექსპერტებს, რეჟისორებს, პროდიუსერებს, კასტინგის დირექტორებს, 19 თებერვალს კი Berlinale Palast-ში თითოეულ მათგანს პრესტიჟული ჯილდო - European Shooting Stars Award გადაეცემა.

European Film Promotion-ის პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, The European Shooting Stars 2018-ის ოფიციალურ მხარდამჭერთა შორის ეროვნული კინოცენტრიც არის.

სამმა ქართულ-უცხოურმა კოპროდუქციამ „ევრიმაჟის“ დაფინანსება მოიპოვა

მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში გამართულ „ევრიმაჟის“ მმართველი საბჭოს 148-ე სხდომაზე სამმა ქართულმა პროექტმა მოიპოვა დაფინანსება.

საქართველოს წარმომადგენელმა „ევრიმაჟში“ - თამარ ტატიშვილმა საბჭოს წარუდგინა დიტო ცინცაძის „43“, უტა ბერიას „უარყოფითი რიცხვები“ და ევა ჰოსუნის „მზის გოგოები“, რომლის ქართველი კოპროდიუსერი ვლადიმერ კაჭარავაა (20 Steps Production).

ქართული პროექტების პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა. „ევრიმაჟის“ კინოფონდის 2017 წლის ბიუჯეტი დაახლოებით 18 მილიონ ევროს შეადგენდა. სხდომაზე 66 მხატვრული ფილმი დაფინანსდა, მათ შორის სოლიდური თანხა - დაახლოებით 700 000 ევრო ქართულ-უცხოური კოპროდუქციებისთვის გამოიყო:

- „მზის გოგოები“ - 500 000 ევრო
- „43“ - 120 000 ევრო
- „უარყოფითი რიცხვები“ - 86 000 ევრო

შეგახსენებთ, რომ საქართველო ევროპის საბჭოს კინოს განვითარების და მხარდაჭერის ფონდის - „ევრიმაჟის“ წევრი ქვეყანა 2011 წელს გახდა.



ქართული კინოს ფორუმი

4-7 ოქტომბერს ბაკურიანში ქართული კინოს ფორუმი გაიმართა.

„ნახე პირველად ბაკურიანში“ - ამ სლოგანით ეროვნული კინოცენტრის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ ახალ პროექტს ჩაეყარა საფუძველი.



ყოველ წელს ბაკურიანი ქართული კინოსექტორის წარმომადგენლებს და უახლეს ფილმებს უმასპინძლებს. ქართული კინოს ფორუმი რეგიონში კინოს კულტურის განვითარებასთან ერთად, შემოდომის სეზონზე საკურორტო ზონის გაცოცხლებას შეუწყობს ხელს.

2017 წლის 4-7 ოქტომბერს ბაკურიანის კინოთეატრ „დიდველში“ ბოლო დროის აქტუალური ფილმების ჩვენება მოეწყო. თბილისში დიდ ეკრანზე გამოსვლამდე, პროფესიულმა წრემ პირველად სწორედ ბაკურიანში ნახა ის ფილმები, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება უკვე მოიპოვეს.

კინოფორუმს ბაკურიანში ესწრებოდნენ როგორც კინოს სფეროს წარმომადგენლები - რეჟისორები, პროდიუსერები, მსახიობები, ასევე მედიასექტორი - კინოკრიტიკოსები და ჟურნალისტები, რომლებიც კინოს მიმართულებით მუშაობენ.

ფორუმის მთავარი მიზანია, ქართული კინოს პოპულარიზაცია - ჩვენებების შემდეგ ხდება პროფესიონალების მიერ გამოთქმული შეფასებების გავრცელება სხვადასხვა მედიასაშუალებით, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ინტერესის გაღვივებას ახალი ქართული კინოს მიმართ.

ფილმებზე დასწრების შესაძლებლობა უსასყიდლოდ ჰქონდა ყველა მსურველს.

წელს ბაკურიანის კინოფორუმში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა კანის კინოფესტივალის პროგრამის „კრიტიკოსთა კვირეულის“ წარმომადგენელი, რომელმაც საჯარო ლექციებიც გამართა.

პროექტი „საქართველოს მატთანე“

30 ნოემბერს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი სამუშაო ვიზიტით კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ ესტუმრნენ და პროექტ „საქართველოს მატთანეს“ არქივის მასალები დაათვალიერეს.

პროექტი გულისხმობს სტუდია „მემატიანეს“ არქივიდან კინოფირების (დოკუმენტური აუდიო და ვიზუალური მასალის) გაწმენდას, დახარისხებას, მათი მდგომარეობის დადგენას, აღრიცხვასა და მასალის ნაწილის ციფრულ ფორმატში გადატანას. პროცესი დაწყებულია - პირველ ეტაპზე, წლის ბოლომდე 5000-მდე კოლოფი დახარისხდება. ფირების ციფრულ ფორმატში გადატანას



კინოსტუდია „ქართული ფილმი“ საკუთარ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განახორციელებს. სტუდიაში დაცული უნიკალური დოკუმენტური მასალა - ფირების 25 000 კოლოფი, რომელიც მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიას ასახავს, ბოლო ათწლეულებია განადგურების პირას იყო მისული.

შემოწმებული მასალები უკვე გადატანილია და ინახება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საგანგებოდ ახლადგარემონტებულ სივრცეში. საცავები გარემონტდა „ქართული ფილმის“ მიერ სპეციალური სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სამუშაოები კინოცენტრის მიერ მივლენილი დამოუკიდებელი ექსპერტის ზედამხედველობით ხორციელდება.

პროექტის “კინო სკოლაში” შემაჯამებელი ღონისძიება და გამარჯვებულების დაჯილდოვება

10 დეკემბერს, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გაიმართა პროექტის „კინო სკოლაში“ გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე დაესწრო.

„კინო სკოლაში“, წელს, უკვე მეოთხედ ჩატარდა. წლებანდელ პროექტში ჩართული იყო საქართველოს ყველა რეგიონის 216 სკოლა, მათ შორის, საოკუპაციო ხაზთან და მაღალმთიან სოფლებში მდებარე სასწავლო დაწესებულებებიც. აღსანიშნავია, რომ წელს, „კინო სკოლაში“ Creative Europe-ს მხარდაჭერით ჩატარდა.

პროექტის ფარგლებში, სულ, 4 კონკურსი იყო გამოცხადებული:

- საუკეთესო ფილმი
- საუკეთესო პოსტერი
- საუკეთესო რეცენზია
- საუკეთესო კინოკლუბის ოთახი

სპეციალურად დაჯილდოების ცერემონიისთვის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, თბილისში 200-ზე მეტი კინოსკოლელი ჩამოვიდა.

დაჯილდოვების ცერემონიის დაწყებამდე, კინოსკოლელებმა კინოტურში მიიღეს მონაწილეობა.



პროექტის „კინო სკოლაში“ შემაჯამებელ ღონისძიებაზე, კინოსკოლელები თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში კინოჩვენებებსაც დაესწრნენ.

ევროკომისიის მისიის ვიზიტი საქართველოში

ეროვნული კინოცენტრის ინიციატივითა და ევროკომისიის პროგრამის (TAIEX) ფინანსური მხარდაჭერით, კინოთეატრების ქსელის და დისტრიბუციის განვითარებისთვის საქართველოში ევროკომისიის მისიის ვიზიტი გაიმართა.

შეხვედრებს ესწრებოდნენ: Edith Sepp-Dallas - ესტონეთის კინოინსტიტუტის დირექტორი, Renata Pawłowska-Pyra - პოლონეთის კინოინსტიტუტის კინოკულტურის და ფილმის გავრცელების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, Arnfinn Inderhaug - ნორვეგიული კინოორგანიზაციის Film & Kino პროექტის Bygdekinoen - მობილური კინოთეატრის მენეჯერი, ქართველი კინემატოგრაფისტები და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები.



საქართველოს კულტურისა
და სპორტის
საინჟინერო



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - info@gnfc.ge.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge